

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ  
განხორციელებული საქმიანობის 2020 წლის შემაჯამებელი ანგარიში

ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. № 3  
20

ტელ: 599 15 25

27/11/2020 წ.

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაქვემდებარებაში არის 44 ფილიალი (საბავშვო ბაღი), 842 თანამშრომელი და 2 646 აღსაზრდელი (სექტემბრის თვიდან ოზურგეთის საბავშვო ბაღებში დარეგისტრირდა 2 404 აღსაზრდელი).

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 4 600 000 (ოთხიმილიონ ექვსასიათასი) ლარს. ხოლო, პანდემიის პირობებში კორექტირებული ბიუჯეტი შეადგენს 4 300 000 (ოთხიმილიონ სამასიათას) ლარს.

სასწავლო სააღმზრდელო პროცესი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში დაიწყო 2020 წლის 20 იანვარს.

შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ ყველა ბაღში ჩატარდა სადებიზინფექციო სამუშაოები, აღებულ იქნა წყლის მიკრობიოლოგიური და ქიმიური ანალიზები, შესყიდულ იქნა კვების პროდუქტები, სან-ჰიგიენური საშუალებები, რის შემდეგაც, მომარაგდა აღნიშნული საშუალებებით ყველა საბავშვო ბაღი.

ბაღის მენეჯერებმა წლის დასაწყისში ცენტრში წარმოადგინეს 2020 წლის სამუშაო გეგმები, ბაღებში სასწავლო პროცესი განახლდა სკოლამდელი პროგრამის სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს ტერიტორიაზე ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ 44 ფილიალში (საბავშვო ბაღში) შეწყდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ა/წ 2 მარტიდან.

იქიდან გამომდინარე, რომ ბაღებში სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის შეჩერება არ იყო დაგეგმილი, სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა შეაჩერა ბაღებში პროდუქტების მიწოდება, ხოლო საბავშვო ბაღებში ნაშთის სახით დარჩენილი საკვები პროდუქტები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით გადაეცა მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამაში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირების მომსახურების ხელმძღვანელს ი/მ ნათია ღლონტს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალების (საბავშვო ბაღების) 2 646 აღსაზრდელს მიმდინარე წლის აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში დაურიგდა 143 106 ლარის ღირებულების სასურსათო კალათი, შვიდი დასახელების პროდუქტი (1კგ. შაქარი, 1კგ. მაკარონი, 1კგ. წიწიბურა, 1კგ. ბრინჯი, 0,500კგ. ვერმიშელი. 1ლტ. ზეთი, 5 კგ. კარტოფილი). სასურსათო პაკეტები შეივსო საბავშვო ბაღებში არსებული არამალფუჭებადი პროდუქტების ნაშთებით.

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალებში, აუცილებელი გახდა აღნიშნული პროდუქტების გაზრდილი რაოდენობების შეძენა, რომელიც გათვალისწინებული არ იყო სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ, რადგან ეს აუცილებლობა გამოიწვია ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ (პანდემიამ), რომელიც ახალ კორონა ვირუსს უკავშირდება.

ასევე ახალი სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის დაწყებისთვის (სექტემბერ-ოქტომბრის) აუცილებელი გახდა ისეთი საშუალებების შეძენა, (უკონტაქტო თერმომეტრები, სამშრიანი

სამედიცინო ნიღბები, დისპენსერები, სადუზინფექციო საშუალებები, სამედიცინო ხალათები, ბახილები, ქუდები, ხელთათმანები, დეზობარიერები, საინფორმაციო ფურცლები), რომელიც გათვალისწინებული არ იყო სკოლამდელი აღზრდის მიერ, რადგან ეს აუცილებლობა გამოიწვია ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ.

შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდის ცენტრს მიერ შეძენილ იქნა ზემოთაღნიშნული საშუალებები და მომარაგებული იქნა ბალები.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შეწყვეტის შემდეგ, ყველა საბავშვო ბაღში დაიწყო ონლაინ აქტივობები, რომელშიც ჩართული იყო, როგორც სააღმზრდელო ცენტრის მეთოდური განყოფილება, ასევე ყველა საბავშვო ბაღის აღმზრდელები და მეთოდისტები.

2020 წლი 15 ოქტომბერს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა 32 საბავშვო ბაღში (44 საბავშვო ბაღიდან), რადგანაც 12 ბაღში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 17 საბავშვო ბაღში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა სარემონტო სამუშაოები, რომლითაც შესრულებული იქნა სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები.

ბალები, სადაც განახლდა სასწავლო პროცესი, შემოწმებული იქნა შრომის ინსპექციის მიერ, რომელმაც ბაღებში (32 ბაღი) სწავლის განახლების დაგვრთო ნებართვა.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, ამჯერად, სულ ორი დღით იქნა განახლებული 15-16 ოქტომბერს, რადგანაც 17 ოქტომბრისთვის დაფიქსირდა საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა გარკვეული ნიშნის, სავარაუდო ენტეროვირუსის ფაქტი. აღსაზრდელებს აღენიშნებოდათ (დიარეა, ღებინება).

საკითხის შესწავლის მიზნით ეცნობა როგორც საზუგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, ასევე სურსათის ეროვნულ სააგენტოს, რის შემდეგაც, სეს - ის მიერ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში გაგზავნილი იქნა პროდუქტების ნიმუშები, სადაც მიღებული პასუხებისა და ლაბორატორიული კვლევების დასკვნის შედეგად საკვები პროდუქტი იყო ვარგისიანი და შეესაბამებოდა სტანდარტებს.

ასევე ანალიზები ჩატარდა მზარეულსა და მზარეულის თანამემწეს, აღებული იქნა მგიდის ზედაპირი, დაფების, დანების, მაცივრების, ჩამონატეცხებისა და მზარეულის ხელის ჩამონაბანების ანალიზი, საიდანაც ასევე პასუხი იყო სტანდარტების შესაბამისი.

რადგან სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ისევ შეჩერდა, ბაღებში ოქტომბრისთვის ბოლოს, 44 ბაღის 2 404 აღსაზრდელს (უკვე სექტემბრის თვიდან დარეგისტრირებულთა რაოდენობა) დაურიგდათ სასურსათო კალათი, სულ 60 853 ლარის ღირებულების.

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, ემზადება დეკემბრის ბოლოს რიგით მე-5-ე სასურსათო კალათის შესაძენათ და დასარიგებლად. ასევე ცენტრის მიერ შეძენილი იქნება და ყველა აღსაზრდელს დაურიგდება საახალწლო ნობათი.

2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი - 2 862 985 ლარს, კვება - 463 067 ლარს, კომუნალური გადასახდების ხარჯი შეადგენდა - 988 185 ლარს, გათბობის საშუალებები (შეშა და დიზელი) - 69 776 ლარს, სანიტარულ - ჰიგიენური საშუალებები - 20 926 ლარს, სამედიცინო საშუალებები (სადუზინფექციო საშუალებები, პირბადეები, უკონტაქტო თერმომეტრები, დისპენსერები, დეზობარიერები, ხალათები, ბახილები, ქუდები, ხელთათმანები) - გაიხარჯა - 16 760 ლარი. წყალმომარაგების სისტემაზე დაერთებაში და რეონტისათვის ურეკსა და # 7 ბაღებში გაიხარჯა - 4 641 ლარი. წყლის ლაბორატორიულ კვლევებში - 10 053 ლარი.

იქედან გამომდინარე, რომ საბავშვო ბაღებში ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, სასწავლო -სააღმზრდელო პროცესის განახლება არ იგეგმება 2021 წლის 31 იანვრამდე, სკოლამდელი აღზრდის ცენტრი განახორციელებს, საბავშვო ბაღებისათვის შესაძენი კვების პროდუქტების ხელშეკრულებების კორექტირებას .

გურიის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ინიციატივით და მხარდაჭერით ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბაღების აღმზრდელ

პედაგოგებს 24 ნოემბრიდან 27 ნოემბრის ჩათვლით უტარდებათ ტრენინგი თემაზე: „ადრეული ინკლუზიური განათლება,“ ტრენინგს უძღვებიან მაკ-ჯორჯიას ტრენერები. ტრენინგში მონაწილეობას იღებს 21 აღმზრდელი. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

სკოლამდელ სააღმზრდელო ცენტრს მიეწოდა, საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული პრაქტიკული გზამკვლევი პანდემიის დროს სკოლამდელ დაწესებულებებში გამოყენებისათვის. აღნიშნული გზამკვლევი მიეწოდება ყველა საბავშვო ბაღს, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესისი დისტანციურ რეჟიმში წარმართვას.

ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი  
აღზრდის ცენტრის“ დირექტორი:  
მ. ჭყონია